ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

№25

3 - 9 ნოემბერი 1995 წ.

ფასი 5 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## საქართველოს ოპოზიციურ ორგანიზაციათა და პოლიტიკურ პარტიათა

# განცხადება

### 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შესახებ საქართველოში

1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოში დანიშნულია საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ჩვენ, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს შეუძლებლად მიგვაჩნია ამ არჩევნებში მონაწილეობა და ბოიკოტს ვუცხადებთ მას შემდეგი მიზეზების გამო:

საქართველოს დღევანდელი არალეგიტიმური ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მოვიდა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, როდესაც 1992 წლის იანვარში ქვეყნიდან განდევნილ იქნა დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი. გადატრიალება განახორციელა საქართველოს ყოფილმა კომუნისტურმა ელიტამ და ადგილობრივმა მაფიამ, რუსეთის პირდაპირი სამხედრო და პოლიტიკური დახმარებით.

უკანონო დიქტატორულმა რეჟიმმა, ლეგიტიმაციის მიზნით, 1992 წლის ოქტომბერში ჩაატარა არადემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები და გააყალბა მისი შედეგები. არჩევნები არ იყო არც თავისუფალი და არც სამართლიანი, რაც დაადასტურეს დამოუკიდებელმა საერთაშორისო დამკვირვებლებმაც. არჩევნები ჩატარდა არადემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე, პოლიტიკური ტერორისა და საგანგებო წესების მოქმედების პირობებში. დამნაშავედ გამოცხადდა თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია. წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა რეჟიმის ოპონენტთა მასიურ დაპატიმრებას და წამებას. ხდებოდა ოპონენტთა გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯა. აიკრძალა ყველა ოპოზიციური გაზეთი, საჯარო შეკრებისა და განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება. არჩევნები არ შედგა ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ერთ მესამედზე.

განვლილმა ოთხმა წელმა ნათლად დაგვანახა, რომ ხელისუფლება ქვეყანას მართავს დიქტატორული მეთოდებით. საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და მისი მოსახლეობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შედეგად დაიღუპა და უკვალოდ გაუჩინარდა ათეულათასობით ადამიანი. საქართველოს ხუთმილიონიანი მოსახლეობიდან ემიგრირებულია თითქმის ერთი მილიონი მოქალაქე. სრულიად მოშლილია ეკონომიკა და სოციალური სფერო. მოსახლეობის 80% სიღატაკის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამრეწველო-სამეურნეო დარგებს მართავენ მაფიოზური კლანები, რომელთაც საერთაშორისო ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება პირადი შემოსავლის წყაროდ გაიხადეს.

მმართველი რეჟიმის პოლიტიკამ გამოიწვია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ხელისუფლება აქტიურად ჩაება რუსეთის მიერ პროვოცირებულ ეთნიკურ კონფლიქტებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ოლქში, რის შედეგადაც დაკარგა ქვეყნის ტერიტორიის მეოთხედი და 300 000 ადამიანი ლტოლვილად იქცა საკუთარ ქვეყანაში.

უკანონო ხელისუფლებას და მის მიერ შექმნილ მდგომარეობას საქართველოს მოსახლეობამ დაუპირისპირა საყოველთაო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და 1993 წელს სცადა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა. მაგრამ, საქართველოში მარიონეტული რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის პირდაპირი სამხედრო ჩარევის შედეგად ეს მცდელობა სისხლში იქნა ჩახშობილი.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს რუსეთის და არა საქართველოს სახელმწიფო ინტერესები. საქართველოს სახით კავკასიის რეგიონში იქმნება რუსეთის სტრატეგიული პლაცდარმი. ამის დასტურია ახალი ხელშეკრულება საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების 25 წლით განლაგების შესახებ.

დღეს საქართველოში კვლავ იგნორირებულია ადამიანის თითქმის ყველა ძირითადი უფლება. წინასაარჩევნო პერიოდში საპყრობილეები სავსეა პოლიტიკური პატიმრებით. იდევნება თავისუფალი აზრი და სიტყვა. ხელისუფლების არადემოკრატიულობის გამო მოსახლეობა მოკლებულია შესაძლებლობას აირჩიოს თავისთვის სასურველი ხელისუფლება და რაიმე გავლენა იქონიოს ქვეყნის მართვაზე. სახეზეა ურთიერთდაპირისპირება მმართველ ელიტასა და მოსახლეობას შორის, რაც ქმნის ქვეყნის დესტაბილიზაციის საფუძველს.

ჩვენთვის ნათელია, რომ ძალაუფლების დაკარგვის შიშით, ხელისუფლება არ დაუშვებს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს და მოახდენს მისი შედეგების გაყალბებას. პოლიტიკური ოპოზიცია მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას რეალური კონტროლი გაუწიოს არჩევნების ჩატარების პროცედურას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი შედეგების გაყალბება. არსებულ პირობებში ჩვენ ვერ ვხედავთ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას და უარს ვაცხადებთ იმ არჩევნებში მონაწილეობაზე, რომლის გაყალბებული შედეგებიც საქართველოში ყველასთვის უკვე წინასწარ არის ცნობილი.

1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს მარიონეტული და კორუმპირებული რეჟიმის ლეგიტიმაციას, შექმნის საქართველოში დემოკრატიის არსებობის სახიფათო ილუზიას. ეს კიდევ უფრო გაართულებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას და შეცდომაში შეიყვანს საერთაშორისო საზოგადოებრიობას.

მომავალი არჩევნები არ ტარდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ვინაიდან აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლება ვერ ანხორციელებს თავის იურისდიქციას. ასეთ ვითარებაში ჩატარებული არჩევნები იურიდიულ საფუძველს უქმნის ამ ტერიტორიების ფაქტიურ დაკარგვას და ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას.

იმისთვის, რათა წინ აღვუდგეთ ხელისუფლების ანტიდემოკრატიულ და დანაშაულებრივ კურსს, ჩვენ სხვა მშვიდობიანი გზა არ დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ აქტიური ბოიკოტი გამოვუცხადოთ საქართველოში არსებულ რეჟიმს და მის მიერ დანიშნულ არჩევნებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევისა და განვითარების ერთადერთ გარანტიას წარმოადგენს კანონიერი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება სწორად შეაფასებს საქართველოში შექმნილ ვითარებას და საერთო ძალისხმევით მოძებნილ იქნება გამოსავალი იმ უმძიმესი კრიზისიდან, რომელშიც აღმოჩნდა საქართველოს რესპუბლიკა.

27 ოქტომბერი, 1995

*"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო"*
*საქართველოს ჰელსინკის კავშირი*
*წმ. ილია მართლის საზოგადოება*
*ეროვნულ-ლიბერალური კავშირი*
*მოძრაობა "ჭყონდიდელი"*
*საქართველოს "სამეფო ლიგა"*
*ქრისტიანულ-სოციალური კავშირი*
*ინტელიგენციის დარბაზი*
*საუნივერსიტეტო საზოგადოება*
*ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება*
*სტუდენტურ-ახალგაზრდული მოძრაობა "მამულისათვის"*
*ექიმთა დამოუკიდებელი ლიგა*
*ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ლიგა*
*მუშათა თავისუფალი პროფკავშირები*
*ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია*
*ანტისაარჩევნო ბლოკი "აღსდექ საქართველო!"*
*საზოგადოება "გორგასლიანი"*
*თავისუფალი საქართველო - მომავალი თაობა*
*ალექსანდრე ბატონიშვილის საზოგადოება*
*ნიკო ბურის საზოგადოება*
*ქართველთა ერთობა - ბოლნური ჯვარი*
*ქრისტიანულ-მონარქისტული ერთობა*
*თავად-აზნაურთა საკრებულო*
*საზოგადოება "ერის ძახილი"*

## ჩემს ქვეყანას კანონიერების აღდგენა გაამთლიანებს

მე, მერაბ კოსტავას დედა, ოლღა დემურია-კოსტავა ბოიკოტს ვუცხადებ სისხლით მოსული უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებს.

არჩევნების დანიშვნა საქართველოში დღეს გაუმართლებელია, რადგან დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, გასხვისებულია აფხაზეთი და სამაჩაბლო (იქ არ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია), იქმნება საშიშროება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საბოლოო დაკარგვისა.

მტკიცედ მწამს, რომ ჩემი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ კანონიერ ხელისუფლებას ხელეწიფება.

*ოლღა დემურია-კოსტავა*

## "სამეფო ლიგა" არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს

28 ოქტომბერს "სამეფო ლიგამ", რომელიც 5 ორგანიზაციას - "ნიკო ბურის საზოგადოება", "ქრისტიან-მონარქისტთა საზოგადოება", "ბოლნური ჯვარი", "ალექსანდრე ბატონიშვილის საზოგადოება", "თავად-აზნაურთა საკრებულო" - აერთიანებს, გამართა ანტისაარჩევნო კამპანიისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია.

"სამეფო ლიგის" მეურვემ, ქალბატონმა ია მუხრანელმა ისაუბრა ლიგის შექმნასა და მის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე, ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მგომარეობაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ "სამეფო ლიგა" ბოიკოტს უცხადებს ხუნტის მიერ დანიშნულ არჩევნებს, რადგან არჩევნებში მონაწილეობა გაუმართლებელია როგორც მორალური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

მან აღნიშნა, რომ ლიგის მიზანია ერთიანი, თავისუფალი, მონარქისტული, ქრისტიანული საქართველოსთვის ბრძოლა, ხოლო ამგვარ საქართველოზე ოცნებაც კი არსებული ხელისუფლების პირობებში წარმოუდგენელია.

## მიმართვა

### საქართველოს მოსახლეობას

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" მოგიწოდებთ 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების ბოიკოტისკენ.

შევარდნაძის უკანონო ხელისუფლება ცდილობს შეამციროს ამომრჩეველთა რიცხვი და ამიტომ მოსახლეობის ნაწილი არ შეჰყავს ამომრჩეველთა სიაში. ბოიკოტის მომხრეებს ვთხოვთ შეამოწმონ, არიან თუ არა შეყვანილნი საარჩევნო სიაში, აკრიფონ საკუთარი საარჩევნო ნომრები და ჩააბარონ იგი "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლებს.

*"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს"*
*პრესსამსახური*

## მკითხველთა საყურადღებოდ:

**წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი «თავისუფალი საქართველო« გაიყიდება ფასდაკლებით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას გვაძლევს არჩევნების ბოიკოტი

არჩევნების საკითხი კიდევ ერთი კატალიზატორი აღმოჩნდა საზოგადოებაში ახალი განხეთქილების წარმოსაქმნელად.

ჩვენდა გასაოცრად და სამწუხაროდ, ის, რაც თითქოს ესოდენ ნათელი ჩანდა სულ რამდენიმე ხნის წინ, ახლა სრულიად გაუგებარია კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა იმ ნაწილისთვის, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობა გადაუწყვეტია.

დაპირისპირება უკვე სახეზეა, ვინაიდან ორივე მხარე ორიენტირებულია ხალხის ერთსა და იმავე მასაზე და არჩევნებში ხმების მოპოვების მსურველთ არ შეიძლება ხელს არ უშლიდეს ბოიკოტის იდეა, და პირიქით.

ამ ფსიქოლოგიურ და პროპაგანდისტულ ორთა ბრძოლაში საბოლოოდ იკვეთება არგუმენტების ორი სახეობა: უხეშად რომ ვთქვათ - პრაქტიკული და ზნეობრივი. პირველზე პრეტენზიას აცხადებენ არჩევნებისტები, მეორეზე - ბოიკოტისტები. ჩვენ არაერთგზის გვიმსჯელია ამ საკითხებზე და, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც დავასაბუთეთ არჩევნებში მონაწილეობის პრაქტიკული უსარგებლობა. ამას ადასტურებს ისიც, რომ არჩევნების პროპაგანდისტებისთვის საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა ჩვენს მიერ დასმულ რიგ საკითხებზე პასუხის გაცემა. ამიტომ, მათ არსენალში ყველაზე ეფექტურ არგუმენტს წარმოადგენს თავად ბოიკოტის იდეის აბსურდულობისა და არაპრაქტიკულობის ხაზგასმა. მათი აზროვნების მიმართულება დაახლოებით ამგვარია: ბოიკოტს ვერ განვახორციელებთ. ან კი რა არის, საერთოდ, ბოიკოტი? რას მოგვცემს ეს? ვთქვათ, ბოიკოტი გამოგვივიდა - მერე რას აპირებთ?

ამ კითხვებით მანიპულირება ერთადერთ მიზანს ემსახურება - დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ბოიკოტის იდეა მხოლოდ იდეალისტური ბოდვაა და არავითარი რეალისტური საფუძველი არ გააჩნია. ამიტომაც აუცილებლად ვთვლით განვმარტოთ, თუ რას გვაძლევს არჩევნების ბოიკოტი.

* * *

უპირველეს ყოვლისა, რამდენად რეალურია ბოიკოტის განხორციელება. ვფიქრობთ, სავსებით რეალური, ამ (და არა მხოლოდ ამ) საკითხში ეროვნულ ძალთა შორის რომ არსებობდეს სრული თანხმობა. არჩევნებში ახლად ჩართული ძალები თავიანთ კომპრომისულ პოზიციას სწორედ საერთო დაქსაქსულობით, რადიკალური პოზიციის პროპაგანდისტთა უმოქმედობით ამართლებენ და, საფიქრალია, ამთავითვე ცდებიან, ვინაიდან თუკი პრინციპულად აღიარებ გზის სისწორეს, ამ გზაზე ცუდად მავალმა არ უნდა გადაგაცდინოს და მრუდეზე არ უნდა გიბიძგოს.

პირიქით, როდესაც ჭეშმარიტებას გაყალბების საფრთხე ემუქრება, ნამდვილი მორწმუნე ფარისეველთა ბანაკში კი არ გადაინაცვლებს, არამედ მეტი შეუპოვრობით იცავს სიმართლეს და ამხელს სიყალბეს.

ამდენად, განხორციელებადია თუ არა ბოიკოტი - ამ პრობლემის გადაწყვეტა თავად ეროვნულ ძალთა ნებაზეა დამოკიდებული. თუ მოვინდომებთ - განხორციელდება, ხოლო თუ ვინმეს მონდომება არ ყოფნის - ეს არ უნდა გახდეს თავად ამ იდეის დასამარების მიზეზი.

* * *

არჩევნების ბოიკოტი არ ნიშნავს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პასიურობას, ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობასა და მომავალზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. პირიქით, ბოიკოტი აქტიური ბრძოლის, აქტიური პოლიტიკური პოზიციის ერთ-ერთი - ცხადია, არა ერთადერთი - გამოხატულებაა. არსებითად, არჩევნების ბოიკოტი ესაა ეროვნული დაუმორჩილებლობის ერთ-ერთი ფორმა, ამასთან, ყველაზე სამართლებრივი, მშვიდობიანი და ნებაყოფლობითი.

გავიხსენოთ უახლოესი წარსული: ვისაც რა დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგებისადმი, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ეს იყო პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი საყოველთაო-დემოკრატიული არჩევნები 70 წლის განმავლობაში. ეს იყო არჩევნები, რომელიც პრინციპულად მისაღები იყო საქართველოში იმხანად ჩამოყალიბებული ყველა პოლიტიკური ძალისთვის, ეროვნულ უმცირესობათა ყველა ჯგუფისთვის და, შესაბამისად, ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

არ შეიძლება არ გვახსოვდეს, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები სწორედ ბოიკოტის პირმშოა. არსებული კომუნისტური მმართველობა მხოლოდ იმავე წლის მარტში დანიშნული კომუნისტური არჩევნების ბოიკოტის შედეგად გახდა იძულებული მიეღო უაღრესად დემოკრატიული საარჩევნო კანონი და დაენიშნა არჩევნები.

ეს იყო ბოიკოტის უმთავრესი პრაქტიკული შედეგი!

დღეს ბოიკოტი ასევე წარმოადგენს არსებულ რეჟიმზე ზემოქმედების ერთ-ერთ ბერკეტს, რომლის ამოქმედება სწორედ პრაქტიკული თვალსაზრისითაა მომგებიანი. ბოიკოტით უნდა დაიწყოს ხელისუფლებაზე დაწოლის, მისი ანტიდემოკრატიული, ანტიეროვნული პოლიტიკის შესუსტების პროცესი.

ლეგალურ ოპოზიციურ ძალებს მართლაც რომ სურდეთ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, პირველნი ისინი გამოიყენებდნენ ბოიკოტის უკვე არსებულ გამოცდილებას და, განურჩევლად იმისა, ვის რა დამოკიდებულება აქვს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის საკითხის მიმართ, შედეგი მაინც ეფექტური იქნებოდა: ყველაზე მცირე, რასაც ამ შემთხვევაში მიაღწევდა ე.წ. ოპოზიცია, ესაა არსებული რეჟიმის ძალაუფლებისა და გავლენის შეზღუდვა და ალტერნატიული მიმდინარეობის განმტკიცება. მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ ოპოზიციად წოდებულ ძალებს კანონიერების აღდგენისა უფრო ეშინიათ, ვიდრე შევარდნაძის ერთმმართველობის, რამეთუ რეალურად ამ რეჟიმის რჩეულნი არიან და არა ხალხის.

* * *

ზოგადად, ქვეყნის ხელისუფლებისადმი ნდობისა თუ უნდობლობის გამოხატვის საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ფორმაა არჩევნები, რეფერენდუმი და ამის წინააღმდეგ გალაშქრება პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება ვითარდება ზოგად სამართლებრივ ნორმებს დაქვემდებარებულ სახელმწიფოში.

ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული მდგომარეობა, რეჟიმის მიერ შექმნილი ვითარება და მისი რეპრესიული პოლიტიკა არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ არჩევნების შედეგები არ იქნება გაყალბებული, ბოიკოტი რჩება ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ რეალურ საშუალებად. მისი განხორციელების შემთხვევაში - საქართველოს მოსახლეობა უნდობლობას გამოუცხადებს მთლიანად რეჟიმსა და მის პოლიტიკას, და არა მის რომელიმე კონკრეტულ წარმომადგენელს; გააცხადებს თავის პროტესტს ანტიდემოკრატიული, ძალადობით მოსული ხელისუფლებისადმი და აიძულებს მას ანგარიში გაუწიოს სწორედ ხალხის ნებას.

ბოიკოტის სრულმასშტაბიანი განხორციელება ნიშნავს არსებული რეჟიმის სრულ გაკოტრებას. ეს იქნება დემონსტრირება იმისა, რომ შევარდნაძის მმართველობა არ წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველ ხელისუფლებას და მას არ გააჩნია ქვეყნის მართვის სამართლებრივი საფუძველი.

ბოიკოტის განხორციელება უდავოს გახდის მოსახლეობისთვის არსებული ხელისუფლების მიუღებლობას.

ბოიკოტმა უნდა გააცხადოს ვინ არის საქართველოს ბედის რეალური გამგებელი - მისი მოსახლეობა, თუ ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავსმოხვეული მარიონეტული რეჟიმი.

* * *

არჩევნების ბოიკოტი იქნება ჩვენი განაცხადი საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, რომ გადამწყვეტი ხმა საქართველოში ეკუთვნის ხალხს და არა რუსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობილ უკანონო მარიონეტულ მმართველობას.

ბოიკოტი საშუალებას მოგვცემს ზემოქმედება ვიქონიოთ იმ ძალებზე, რომელთა ინტერესებსაც განახორციელებს დღევანდელი უკანონო რეჟიმი - შესუსტდება ის სტრუქტურა, რომელზე დაყრდნობითაც რუსეთი განახორციელებს თავის პოლიტიკას საქართველოში.

აქედან გამომდინარე, ქართველი ხალხი, როგორც სრულუფლებიანი სამართალსუბიექტი და ქვეყნის ერთადერთი გამგებელი, უფლებამოსილი იქნება დასვას არსებული ხელისუფლებისა და, შესაბამისად, მის მიერ მიღებული საქართველოს ინტერესების შემლახავი ყველა გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი.

* * *

რაოდენ კატეგორიულიც არ უნდა ჩანდეს ეს პოზიცია და გამოთქმული არგუმენტები, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავალში ისინი გაზიარებული იქნება ყველა იმ პოლიტიკური ძალის მიერ, რომელსაც რეალურად სურს ქვეყანაში არსებული ვითარების რადიკალური გარდაქმნა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ბოიკოტი გადაწყვეტს ყველა პრობლემას. პრობლემები ჩვენ უნდა გადავჭრათ თანმიმდევრული ბრძოლისა და რეალური ქმედების გზით. ამ გეგმის რეალიზების ერთ-ერთი ეფექტური, სამართლებრივად სწორი და მომგებიანი მექანიზმია ბოიკოტის განხორციელება, რაც თავისთავად არ წარმოადგენს თვითმიზანს. ესაა მხოლოდ აუცილებელი ეტაპი თავისუფლებისთვის ბრძოლის გზაზე და საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის გადარჩენის, მისი ტერიტორიული რღვევის, მოსახლეობის გენოციდის შეჩერების საშუალება, მექანიზმი.

ამ პროცესის გარდუვალობა უნდა გაიცნობიეროს მთელმა ოპოზიციურმა სპექტრმა - კანონიერი ხელისუფლების გუშინდელმა მომხრეებმაც, რომლებიც დღეს საარჩევნო კამპანიაში ჩაერთნენ, და პუტჩის ორგანიზატორმა და მასში მონაწილე პარტიებმაც. ეროვნული ერთიანობა მიღწეულ იქნება მხოლოდ 1991-92 წ.წ. სახელმწიფო გადატრიალების დაგმობის, მისი სწორი პოლიტიკური შეფასების, მისი შედეგების გაუქმების საფუძველზე.

ქართველი ერი ამ გზას გაივლის ნებისმიერ შემთხვევაში - საქმე მხოლოდ იმაშია, ჩვენი თაობა განახორციელებს ამ იდეას, თუ ჩვენი შთამომავლობა.

ასარჩევიც სწორედ ესაა.

**ზ. ფალავანდიშვილი**

---

ყველანაირი მშვიდობა როდია - საღმრთო მშვიდობა! რამეთუ არსებობს მშვენიერი უთანხმოებაც და არსებობს დამღუპველი ერთსულოვნებაც. უნდა გვიყვარდეს მხოლოდ ჭეშმარიტი მშვიდობა, კეთილმიზანდასახული და ღმერთთან მიმყვანებელი, რადგან როცა საქმე აშკარა უკეთურებასთან გვაქვს, მაშინ ცეცხლსა და მახვილსაც არ უნდა ვრიდოთ, არც დროისა და ხელმწიფეთა მოთხოვნებს დავემორჩილოთ, მით უმეტეს - არამც და არამც არ უნდა ვეზიაროთ მზაკვრულ დვრიტას, არ უნდა მივემთხვიოთ სენშეყრილს! ყველაზე დიდი ცოდვაა ღმერთზე მეტად გვეშინოდეს რაიმესი, და ამ შიშის გამო ვღალატობდეთ ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლებას!

*წმ.გრიგოლ ღმრთისმეტყველი*
*სიტყვა მეექვსე "მშვიდობის შესახებ"*

---

# ჰელსინკის კავშირი მოუწოდებს აქტიური ბოიკოტისკენ

საქართველოს ჰელსინკის კავშირმა 26 ოქტომბერს"კოლხურ კოშკში" გამართა პრესკონფერენცია, რომელზედაც ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ კავშირის პოლიტსაბჭოს წევრები: ლია ბერუაშვილი, აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ავთანდილ დავითაია და ამავე ორგანიზაციის გამგეობის წევრი ზურაბ კვარაცხელია. შეხვედრას უძღვებოდა კავშირის რესპუბლიკური გამგეობის წევრი ანა ჭავჭავაძე.

ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციაზე გავრცელებულ პრესრელიზში მოკლედ იყო ჩამოყალიბებული კავშირის ისტორია და მისი პოზიცია მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი, კერძოდ 5 ნოემბრის არჩევნებისადმი. გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ "საქართველოს ჰელსინკის კავშირი უკანონოდ და დანაშაულებრივად მიიჩნევს არსებულ მარიონეტულ რეჟიმს, არ ცნობს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შემლახავ ხელშეკრულებებს. ამდენად, 1995 წლის 5 ნოემბერს დანიშნულ არჩევნებს ჰელსინკის კავშირი მიიჩნევს რუსეთის მარიონეტი უკანონო რეჟიმის, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მისი მოღვაწეობის შედეგად წარმოქმნილი ფაქტობრივი მდგომარეობის დაკანონების მორიგ მცდელობად."

რელიზშიც და პრესკონფერენციაზეც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აფხაზეთის საკითხს, რომელზედაც ამომწურავად ისაუბრეს ავთანდილ დავითაიამ და ზურაბ კვარაცხელიამ. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, "რომ ამ არჩევნებით დაკანონდება შიდა ქართლისა და აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციის გარეთ ყოფნა და ამ ტერიტორიათა სეპარატისტულ მმართველობას მიეცემა სამართლებრივი საფუძველი მოითხოვოს და განა[...]რციელოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. დაკანონდება საქართველოში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური პროტექტორატი, რაც წარმოადგენს არსებული მარიონეტი რეჟიმის, მისი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, რეპრესიული პოლიტიკის საყრდენს." ავთანდილ დავითაიას თქმით, მომავალი არჩევნების არადემოკრატიულობის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთის დევნილი მოსახლეობა მოკლებულია შესაძლებლობას ხმა მისცეს მაჟორიტარულ უბნებში.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს ჰელსინკის კავშირი ბოიკოტს უცხადებს უკანონო მმართველობის მიერ დანიშნულ არჩევნებს და აცხადებს, რომ აქტიურად იმოქმედებს ბოიკოტის სრულმასშტაბიანი განხორციელებისთვის. ლია ბერუაშვილმა განაცხადა, რომ კავშირი "დააწესებს მკაცრ კონტროლს არჩევნების მიმდინარეობაზე, აწარმოებს წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნებზე დაშვებულ კანონდარღვევათა, ამომრჩეველთა აქტივობის აღრიცხვას, რის შესახებაც ინფორმაციას მიაწვდის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არჩევნებზე დამსწრე დამკვირვებლებს".

არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ პარტიათა საყურადღებოდ ითქვა, რომ საქართველოს ოკუპირებული მდგომარეობა, რეჟიმის მიერ შექმნილი ვითარება და მისი რეპრესიული პოლიტიკა არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ არჩევნების შედეგები არ იქნება გაყალბებული და ამიტომ, ჰელსინკელთა აზრით, ბოიკოტი რჩება ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ რეალურ საშუალებად.

გაისმა გაფრთხილება საარჩევნო კომისიების მიმართ, რომ არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნების დახურვამდე რამდენიმე ხნით ადრე, კავშირის მხარდამჭერები უბნების მიხედვით შეამოწმებენ საარჩევნო სიებში საკუთარ ხელმოწერებს და იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მათ მაგივრად ხელი უკვე მოწერილია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, ფალსიფიკაციის ბრალდებით, მხარდამჭერთა მიერ აღიძვრება სარჩელი.

კავშირი მოუწოდებს საქართველოს მთელ მოსახლეობას: არ მიიღოს მონაწილეობა 5 ნოემბრის არჩევნებში, არ გამოცხადდეს საარჩევნო უბნებში და ბოიკოტით გამოხატოს თავისი პროტესტი უკანონო, რუსეთის მარიონეტი ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის მიმართ.

ჟურნალისტთა მიერ დასმულ კითხვაზე, როგორ აფასებს კავშირი პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა ერთი ნაწილის არჩევნებში მონაწილეობას, ანა ჭავჭავაძემ განაცხადა: "მათ ამის სურვილი ძალზე გვიან გააცხადეს, როდესაც უკვე აღარ ველოდით მსგავს შემობრუნებას. ნათელია, რომ ეს გახდება საზოგადოების გახლეჩის კიდევ ერთი მოტივი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ამ დაპირისპირებამ არ მიიღოს უკიდურესად მწვავე ფორმა, მაგრამ ეს ვერ გვაიძულებს გადავუხვიოთ ჩვენი გზიდან. ჩვენ გვაქვს ჩვენი მიზანი, სტრატეგია, ტაქტიკა და პრინციპულ დათმობაზე ვერ წავალთ".

ავთანდილ დავითაიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ინერგება ჭორები, თითქოს ბოიკოტისტები საიდუმლო ალიანსში იმყოფებიან არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა ძალებთან, მათ შორის, პატიაშვილთანაც კი. "ეს სატყუარა იმისთვისაა მოგონილი, რათა ბოიკოტის მომხრე მოსახლეობა არჩევნებზე მიიყვანონ. სხვათა მაგივრად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჰელსინკის კავშირი არავის უჭერს მხარს არც ცხადად და არც ფარულად. ჩვენ არ ვცნობთ და ბოიკოტს ვუცხადებთ მთლიანად ამ უკანონო მარიონეტულ რეჟიმს და დიდ განსხვავებას ვერ ვხედავთ, ვინ განახორციელებს საქართველოში რუსეთის პოლიტიკას - შევარდნაძე, პატიაშვილი, თუ ეროვნულობით შენიღბული სხვა პიროვნება."

---

# მეტროში კრძალავენ გაზეთების გაყიდვას

თბილისის მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია კრძალავს მეტროში გაზეთების გაყიდვას. ამ საშურ საქმეს თვით სამმართველოს უფროსი, ბ-ნი გურამ გაბუნია ხელმძღვანელობს.

31 ოქტომბერს, თავისი ხელმძღვანელის წაბაძვით, "ვაგზლის მოედნის" მორიგემ გამავრცელებელი სარა ქალიაშვილი გაზეთებიანად წაიყვანა ზონის უფროს პოლიციელთან, სადაც მას შეურაცხყოფა მიაყენეს და ხელის კრით გამოისტუმრეს მეტროდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ზაზა წიკლაური**

**პოლიტპატიმარი, განსჯილი სს საქმე N7492815-ის საფუძველზე, მისჯილი აქვს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელს იხდის რუსთავის N1 კოლონიაში. ამჟამად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადმოყვანილია შსს რესპუბლიკურ საავადმყოფოში**

იმისი რწმენაც გქონია, რომ ქვეყანაში ძალადობა არ არის და ე.ი. აღიარებ, რომ ეროვნული იდეისთვის არავის სდევნიან, არავის კლავენ და აპატიმრებენ. სამშობლოს თავისუფლებისთვის და-

# არჩევნებს ატარებს არა შევარდნაძე, არამედ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი

**კორესპონდენტი: - როგორია თქვენი დამოკიდებულება 5 ნოემბრის არჩევნების მიმართ?**

ზაზა წიკლაური: - ის, ვინც დამხობილი კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების აღდგენის მომხრედ თვლის თავს, მით უმეტეს ის, ვინც ამ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელია, ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დამპყრობლის რეჟიმის ფორმირებაში ნებისმიერი სახით მონაწილეობა ნიშნავს დევნილი ეროვნული ხელისუფლების საკუთარი ნებით უარყოფას. ეს კი იურიდიული და მორალური კაპიტულაციაა (!!!), ხოლო "არჩევნებში" მონაწილეობის ფაქტი, თავისთავად, ნებსით თუ უნებლიეთ, არა მარტო არჩევნების დანიშვნის კანონიერების აღიარებაა, არამედ მისი ობიექტურად ჩატარების შესაძლებლობის დაშვებაც.

თავად ეს არჩევნები იმიტომაც არის ფიქცია და ფარსი, რომ თავისთავად დაპყრობა პირველ რიგში არჩევანის უფლების, თავისუფალი ნების აღკვეთას გულისხმობს. რეალურად მპყრობელი თვითონ ნიშნავს ადგილობრივ მმართველობას, ხოლო ხელდასმის ფორმალურ მექანიზმს თუ რიტუალს, ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში და ამა თუ იმ ვითარებაში, შესაბამისი კონიუნქტურით ირჩევს. მაგალითად, რუსეთის მონარქიულ იმპერიაში - დანიშვნით, გასაბჭოების შემდეგ - უალტერნატივო "საერთო-სახალხო არჩევნებით", ამჟამად კი, უფრო დახვეწილი ფარსის - უალტერნატივო უამრავკანდიდატიანი "არჩევნების" სახით. ეს უკანასკნელი ფორმა თავისი არსით გაცილებით ცინიკური და დამამცირებელია, რადგან თავხედურად გთავაზობს მოძალადის არჩევას. ამიტომ, საოკუპაციო რეჟიმის არჩევნების გზით ფორმირებაში ეროვნულობის პრეტენზიის მქონე პიროვნების მონაწილეობა იმ "პატიოსანი" ქალის საქციელს ჰგავს, მოძალადეებს შორის თვალადობის და ტანადობის მიხედვით რომ გააკეთებს არჩევანს.

რაც შეეხება მათ ტიპურ კითხვას - "მაშ რა ვქნათ?", ვუპასუხებ: - კლდეზე ნუ გადახტები. თუ მართალი გზა იცი, იარე, თუ არა და, დაიცადე ნისლის გადაყრამდე და გზასაც მაშინ დაადექი, როცა დაინახავ, საით მიდიხარ. "არჩევნებში" მონაწილეობა არ არის კარგი ან ცუდი, სწორი ან არასწორი გზა, ეს უფსკრულში გადაჩეხაა, თვითმკვლელობაა, მოძალადის ბატონად აღიარება და დამონებაა.

დაპყრობა, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვა არა არის რა, თუ არა სხვისი ნების იძულებით აღკვეთა. ამიტომ, თუ შენ იმედი გაქვს, რომ ხალხს საშუალება ექნება ნების თავისუფლად გამოხატვისა, ლუპულნი ჯერაც არ გაცივებულან მიწაში, პოლიტპატიმრებს ჯერაც არ მოუშუშებიათ "იმედის" არჩევნებამდელი იარები, ჯერაც მათი კვნესა ისმის, მათი რიგები განუწყვეტლივ ივსება (მხოლოდ ციხეში სულამოხდილები აკლდებათ). ოკუპანტ-რევოლუციონერები თავის სულიერ შვილებსაც კი არ ინდობენ. და ამ დროს თავისუფალ არჩევანზე ფიქრი, ჩემის აზრით, ან უზომო თვალთმაქცობაა, ან უზომო სიბრიყვე. ხოლო თუ არც არჩევნების ობიექტურობის იმედი გაქვს და მის კანონიერებაშიც ეჭვი გეპარება, მაშ რატომ ლებულობ არჩევნებში მონაწილეობას? თუ მტრის ზურგში შეპარვას აპირებ, უმჯობესია წითლად, მწვანედ ან ცისფრად შეიფერო და ისე შეაღწიო.

**კორ. - თქვენ ფიქრობთ, რომ იმ ვითარებაში, რომელიც დღეს არის საქართველოში, არჩევნების ბოიკოტი უფრო გამართლებულია?**

ზ. წ. - დამპყრობლისადმი დაუმორჩილებლობა - ბრძოლის ყველაზე ეფექტური კი არა, ერთადერთი საშუალებაა და თანაც უებარი (დაუმორჩილებლობა არ გულისხმობს პასიურობას, უმოქმედობას). საქმე იმაშია, რომ მოძალადე, დამპყრობელი სასურველ მიზანს ფიზიკური ძლევით ვერ მიაღწევს (ფიზიკური ძლევით ის მხოლოდ ერთჯერად ძალადობას, მაგალითად, ძარცვას განახორციელებს). ნებისმიერი აგრესია ბოლოს დამპყრობლის რეჟიმით თუ არ დასრულდა, მიზანი მიღწეული არაა და ოკუპაცია აგრესორისთვის ზარალიანი ხდება. მპყრობელური რეჟიმის, ანექსიის განხორციელებისთვის აუცილებელი და არსებითი ელემენტი მორჩილებაა, დანებებაა, დამპყრობლის ნების უზენაესობის აღიარებაა. დაუმორჩილებლობა, თვით ყველაზე პასიური ფორმითაც კი, უზრუნველყოფს, როგორც მინიმუმს - ტყვეობაში მყოფის ვერ დამონებას (და ამდენად მის სულიერ გადარჩენას, რაც მისი ფიზიკური გადარჩენისთვისაც აუცილებელი პირობაა), როგორც მაქსიმუმს - მოწინააღმდეგის ნების და ძალის გატეხვას და სრულ განთავისუფლებას.

**კორ. - ფიქრობთ, აქტიური ბიკოტის განხორციელება პრინციპში შესაძლებელია?**

ზ. წ. - რამდენადაც მკაფიო და ცხადია ჩემთვის "არჩევნებისადმი" დამოკიდებულება და რამდენადაც ცალსახაა ამ მასკარადში არმონაწილეობის აუცილებლობა, ამდენადვე მაფიქრებს აქტიური ბოიკოტის არსი და მისი განხორციელების შესაძლებლობა. იმიტომ კი არა, რომ ბოიკოტის დამაკმაყოფილებლად განხორციელების შესაძლებლობა მეეჭვება, ხერხებისა და საშუალებების სიმწირის გამო, არამედ იმიტომაც, რომ თავად აქტიური ბოიკოტის უმტკივნეულოდ და ორგანიზებულად ჩატარებამ (რაც არჩევნების პროცედურის მსგავს ალტერნატიულ საქმიანობას გულისხმობს, მაგალითად, ღია აგიტაცია-პროპაგანდას, არმონაწილეთა აღრიცხვას და სხვა) საარჩევნო პერიოდში ლიბერალური პოლიტიკური კლიმატის ილუზია შეიძლება შექმნას და არჩევნებს ობიექტურობის ცრუ ელფერი შესძინოს. ამიტომ, ჩემის აზრით, ამ მიმართებითაც სიფრთხილე და ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ.

"შევარდნაძის რეჟიმი" - ეს სახელწოდება არ გამოხატავს ამ ხელისუფლების არც შინაარს, არც ფორმას და უცხოელთათვის კი არა, ჩვენთვისაც საჭიროებს განმარტების დაზუსტებას (თუ რატომაა უკანონო, ან არაეროვნული, ან არაჰუმანური და სხვა).

ამის საპირისპიროდ, ტერმინი "რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი", ან სხვა მსგავსი, თავად იძლევა განმარტებას თავისი არსის შესახებ. რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მაგივრად "ე.შევარდნაძის რეჟიმის" გამოყენება მკითხველს ცრუ ორიენტაციას უქმნის. ცრუ წარმოდგენა ექმნება ამომრჩეველს მოვლენის არსზე (ყველას ვერ მოვთხოვთ პოლიტიკურ ნიუანსებში გარკვევას და როდესაც ჩვენ თვითონ არ ვარქმევთ ჩვენს მტერს ნამდვილ სახელს, ჩვენი შემყურე მოქალაქე მით უფრო დაიჯერებს, რომ "შევარდნაძის რეჟიმი სხვა არაფერია, თუ არა რეჟიმი შევარდნაძისა).

საქმე იმაშია, რომ ზოგადად სიტყვაში და კერძოდ ამა თუ იმ ტერმინში ან სახელწოდებაში გაცილებით მეტი დევს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. სულ მცირე, მისი დანიშნულებაა ამა თუ იმ არსის, მოვლენის განმარტება. ამიტომ, სიტყვათა არასწორი ხმარება, ან ტერმინთა არადანიშნულებისამებრ გამოყენება იწვევს ადამიანის არასწორ დამოკიდებულებას, შეფასებას, განწყობას.

ჩვენს ქვეყანაში არჩევნებს შევარდნაძე კი არა, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი ატარებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი დამოკიდებულებაც ამ არჩევნების მიმართ შესაბამისი უნდა იყოს.

**კორ. - არჩევნების მიმართ პოზიციათა სხვადასხვაობამ კიდევ უფრო გათიშა ეროვნული მოძრაობა. გუშინდელი თანამებრძოლები სხვადასხვა ნაპირებზე აღმოჩნდნენ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს გათიშულობა სერიოზულ პრობლემებს წარმოქმნის სამომავლოდ საქართველოს თავისუფლების გზაზე?**

ზ. წ. - ეროვნული მოძრაობის გათიშვა კი არა, მისი გაფილტვრა და დაწმენდა მოხდა. ამდენად, არ მესმის გაერთიანებაზე საუბრის აზრი, ეს იქნება ნალექის გაფილტრულთან ხელახლა შერევა.

არჩევნებში ჩვენი ყოფილი თანამებრძოლების მონაწილეობა, ვფიქრობ, ნაწილობრივ მათი სულსწრაფობის შედეგიცაა. უზომოდ დავიქანცეთ ქართველები. სიმშვიდის დადგომას ვეშურებით, მაგრამ გვავიწყდება, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობა არ შემოიფარგლება ეკონომიკური თუ პოლიტიკური განთავისუფლებით. არა მგონია, ჩვენი ბრძოლის მიზანი საქართველოში კომუნისტური თუ იელოვური მიწიერი ნეტარების დამკვიდრება იყოს. საქართველოს ისტორია, ძნელბედობის ჟამს თუ ოქროს ხანაში, მისტერიული ბრძოლის ისტორიაა, გრაალის მცველთა ისტორიაა. ამიტომ ჩვენი ბრძოლა - გოლგოთის გზაა; ამ გზაზე კი მეტი დათმენა გვმართებს.

# "თბილისობის" ურბანისტული პეიზაჟები ახეული პლაკატების ფონზე

მოახლოებული არჩევნების წინ საზოგადოებაში საზეიმო განწყობილებისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის შესაქმნელად შეიდწლიანი შესვენების შემდეგ საქართველომ კვლავ იზეიმა სახელმწიფოს მეთაურის მიერ საგანგებოდ დაწესებული დღესასწაული "თბილისობა". ალბათ, თბილისელად გახდომის და პროვინციალობის კომპლექსის დათრგუნვის განუზომელი სურვილი აძლევს ადამიანს სტიმულს დაანგრიოს და გადაწვას ქალაქი, მოსპოს მისი განუმეორებელი კოლორიტი, ხოლო შემდეგ იზეიმოს.

დღეს თბილისი, უნიჭოდ შესრულებული საარჩევნო პლაკატებით მორთული, ქეთოს კაბაში გადაცმულ ხანუმას ჰგავს. რუსთაველის გამზირზე საბარგო მანქანებით უმნიშვნელო ფასდაკლებით იყიდება ხახვი და კარტოფილი, იქვე "ომონის" ნაწილები კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგს არბევენ და მომიტინგეებს მანქანებისკენ ერეკებიან, რიყეზე "რჩეული" ინტელიგენცია თავდავიწყებულ მხიარულებას ეძლევა, ხოლო რუსთაველის გამზირზე, ახეული საარჩევნო პლაკატების ფონზე, ნაღვლიანი სახით მოწყალებას ითხოვს უამრავი ქართველი მათხოვარი.

წინასაარჩევნო პლაკატები არაერთგვაროვნად გამოიყურება. მაღაზიის ვიტრინების მინები საგანგებოდ იცავენ სახელმწიფოს მეთაურის პომპეზურ პორტრეტებს, ხოლო შემთხვევით დაუცველ პლაკატებს ხალხის რისხვა დასტეხია თავს.

ვის არ ნახავთ აქ: მანდილოსნის თავსაფარში გამოწყობილ ზურაბ ჟვანიას, ქორბუდა აკაკი ასათიანს, მოტირალი მადონასავით, უწვერულო ჯუმბერ პატიაშვილის პორტრეტს, შევარდნაძე-რჩეულიშვილის პოლიტიკური მიჯნურობის სცენას წარწერით - "ედუარდ შევარდნაძე ჩემი იდეალია", ასლან აბაშიძის ოჯახურ პორტრეტს ინტერიერში, გურამ შარაძის თავგანწირულ მოწოდებას - "ხმა მიეცით ასლან აბაშიძეს", ირაკლი ბათიაშვილისა და ირაკლი წერეთლის სამშობლოზე ფიქრით დატანჯულ სახეებს, ნესტან კირთაძის ჯგუფურ პორტრეტს მისივე პარტიის წევრ მამაკაცებთან; აქვეა ერთ-ერთი კანდიდატი-მანდილოსნის საარჩევნო პლაკატი, რომელიც ცნობილი ფრანგული ფირმის "ლა კოსტას" ემბლემას მოგაგონებთ.

ამგვარი ეკლექტიზმით გამოირჩევა თბილისობის ურბანისტული პეიზაჟები. თუმცა მათ ერთი მთავარი უბედურება აერთიანებთ - ისინი დაღუპვის პირას მისული საქართველოს ტრაგიკულ ბედს ასახავენ.

ქ.ქ.

# "თბილისობის" საზეიმო დარბევა

28 ოქტომბერს, 13 საათზე "კოლხურ კოშკში" დანიშნული იყო "მრგვალი მაგიდის" მიტინგი, მიძღვნილი 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნებისადმი.

აქცია დაწყებულიც არ იყო, როცა პოლიციამ დაიწყო შეკრებილი ხალხის დარბევა. დამსჯელი რაზმები არ უშვებდნენ მიმავალ მოქალაქეებს მიტინგის ადგილისკენ და მათთვის ჩვეული უხეშობით, მუქარითა და ხელკეტების ქნევით დევნიდნენ. მშვიდობიანი აქციის ორგანიზატორთა გამოჩენისთანავე სპეცდანიშნულების რაზმმა ალყა შემოარტყა მათ ჯგუფს და უხეში ძალადობის გამოყენებით შეათრია მანქანებსა და ავტობუსებში. მათთან ერთად დაკავებულ იქნენ მშვიდობიანი მოქალაქენი და შემთხვევითი გამვლელებიც.

დაკავებულთა უმრავლესობა (40 ადამიანი) მიიყვანეს პოლიციის მთაწმინდის რაიონის განყოფილებაში.

21.00 საათისთვის გაირკვა, რომ იმავე რაიონის პოლიციის ქვეგანყოფილებაში (ქვეგანყოფილების უფროსი დევნოზაშვილი) დაკავებული იყო 14 მოქალაქე.

დღის ორი საათისთვის მთაწმინდის რაიონის პოლიციის განყოფილებაში მივიდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის (ISHR) წევრები. მათ მოითხოვეს შეხვედრა განყოფილების უფროსთან ე. ჯამბურიასთან. მან უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ დაკავებულია საქმეებით. ასეთივე უარით გამოისტუმრა მან საინფორმაციო სააგენტოს BS-PRESS-ისა და "როსიისკაია გაზეტა"-ს კორესპონდენტები; ხოლო როდესაც პოლიციის განყოფილებაში მოვიდნენ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს არჩევნების კოორდინაციის განყოფილების უფროსი, ბ-ნი ერნესტ დე ლამინი და ეუთოს მისიის წარმომადგენელი, ქ-ნი დარია ფეინი და მოითხოვეს პოლიციის უფროსთან შეხვედრა, ე.ჯამბურიამ კვლავ მოიმიზეზა, რომ ძლიერ დაკავებულია, ხოლო შემდეგ მალულად გამოვიდა შენობიდან და ფაქტიურად გაექცა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც მხოლოდ ავტომანქანასთან დაეწივნენ. ე. ჯამბურიამ მათ განუცხადა, რომ თათბირზე მიეჩქარება.

დღის განმავლობაში დაკავებულთა დიდი ნაწილი გაათავისუფლეს, ხოლო შვიდი დაკავებული - თენგიზ კიკაჩეიშვილი, ჯემალ გამახარია, ზაზა დავითაია, შოთა მალაშხია, რამინ როგავა, ვალერი დოლიძე, ზურაბ ცხადაძე - 29 ოქტომბერს განსჯილი იქნენ მთაწმინდის რაიონის სასამართლოში და მიესაჯათ 10 დღით თავისუფლების აღკვეთა.

დაკავებულებმა პროტესტის ნიშნად 30 ოქტომბრიდან გამოაცხადეს შიმშილობა.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია აღნიშნავს, რომ 28 ოქტომბერს, როდესაც დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები დათმობილი ჰქონდა ძვირადღირებული კომუნისტური ფარსის - "თბილისობის" აღნიშვნას, საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების 5 წლისთავზე აქციის ჩატარებისთვის ხელის შეშლა კიდევ ერთხელ აშკარავებს არსებული რეჟიმისა და მის მიერ დანიშნული არჩევნების ანტიდემოკრატიულ არსს. ამასთან, მომავალი არჩევნების წინ "მრგვალი მაგიდის" წარმომადგენელთა დაკავება ათი დღით, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ არსებული მმართველობის პირობებში შეუძლებელია თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია პროტესტს გამოთქვამს ამ ფაქტის გამო და მოუწოდებს ადამიანის უფლებათა და არჩევნებზე დამკვირვებელ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდში შექმნილი არადემოკრატიული ვითარება.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია**

# საქართველო - პოლიტიკურ რეპრესიათა პოლიგონი

30 ოქტომბერს, მოსკოვში, რუსეთ-ამერიკის საინფორმაციო პრესცენტრში გაიმართა პოლიტპატიმრის დღისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია თემაზე - "პოლიტიკური რეპრესიები დსთ-ს ქვეყნებში" (საქართველო, ტაჯიკეთი, რუსეთი). მასში მონაწილეობდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი სერგეი კოვალიოვი, "ახალგაზრდული ანტიფაშისტური მოძრაობის" თავმჯდომარე პეტრე კაზნაჩეევი, ამავე მოძრაობის მდივანი ელენე ლებედევა და საკოორდინაციო ბიუროს წევრი კონსტანტინე მელნიკოვი, აგრეთვე საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს წევრი თენგიზ ჩაჩავა.

პრესკონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართველ პოლიტპატიმართა მდგომარეობას. კერძოდ ითქვა, რომ საქართველოში რამდენიმე ასეული პოლიტიკური პატიმარია. უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა. წაკითხულ იქნა პატიმართა ჩვენებები, რომლებიდანაც დასტურდება მათ მიმართ წამების გამოყენება. აღინიშნა, რომ მომავალი არჩევნები ტარდება იმგვარ პირობებში, როდესაც საპყრობილეებში არიან დემოკრატიულად არჩეული დეპუტატები: ნ. მოლოდინაშვილი, ვ. დომუხოვსკი, ზ. ქობალია, ვ. შურღაია, ზ. ძიძიგური.

ამ უკანასკნელისა და მასთან ერთად დაპატიმრებულთა შესახებ საგანგებოდ აღინიშნა, რომ მათი საქმე ახლო მომავალში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესს ჰპირდება საზოგადოებას.

ჟურნალისტები განსაკუთრებით დაინტერესდნენ სიკვდილმისჯილი პოლიტპატიმრების - ი. დოკვაძისა და პ. გელბახიანის ბედით, მათი ამჟამინდელი მდგომარეობით, ითხოვდნენ დამატებით ინფორმაციას, ვიდეომასალას.

პრესკონფერენციაზე გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებული რეჟიმის დამკვიდრება და გაძლიერება ხდებოდა და ხდება რუსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით.

ჟურნალისტებს ეცნობათ, რომ 17 ოქტომბერს, დილის 7 საათზე, ნაზრანის რაიონის სოფელ კანტიშევოში, 25-მა მილიციელმა საკუთარ სახლში დააპატიმრა ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, ზვიად გამსახურდიას მეგობარი, ისა ქაძოევი. ხანგრძლივი ჩხრეკის შემდეგ, რომლის დროსაც ეძებდნენ იარაღს და საქართველოს პრეზიდენტის პირად ნივთებს, 70 წლის მრავალგზის რეპრესირებული, ინვალიდი დისიდენტი საპყრობილეში მოათავსეს.

# ინფორმაცია

სრულიად საქართველოს ზვიადის პარტიის ანტისაარჩევნო ბლოკის - "აღსდექ, საქართველო!" წევრებმა: ეთერ მგალობლიშვილმა, შოთა კიკნაძემ, ჯულიეტა მილდიანმა, გურამ დანელიამ, თამილა ნიკოლაძემ და სხვებმა საჩივარი შეიტანეს გენერალური პროკურორის - ჯამლეთ ბაბილაშვილის სახელზე, რომელშიც მოითხოვენ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე 15 ოქტომბერს, ტელევიზიის წინ მშვიდობიანი, მდუმარე პიკეტის ძალისმიერად დარბევის სანქციის გამცემთა და შემსრულებელთა მიმართ.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული პირები 2 დღის განმავლობაში უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი ჯერ საბურთალოს, ხოლო შემდგომ კი ვაკის რაიონის პოლიციაში, სადაც მათ შეურაცხყოფდნენ.

**ანტისაარჩევნო ბლოკის პრესსამსახური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქვს თუ არა ზნეობას ალტერნატივა

"დიდი სურვილი მაქვს, რომ "ბოიკოტისტებმაც" ჩვენი მონაწილეობა არჩევნებში შეცდომად მიიღონ და არა დანაშაულად. შეცდომის გამო მხოლოდ კამათობენ." (გაზეთი "მარჯვი" №12; ზურაბ ხასაია "არჩევნები თუ ბოიკოტი").

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ზემოხსენებულ წერილში არსებულმა ფრაზამ: "არჩევნების მომხრეები მოწინააღმდეგეთა პოზიციის ზნეობრივ მხარეს აღიარებენ და პატივს სცემენ..." საიდანაც, ქვეცნობიერად (გულის კარნახით), სიმართლე გამოსჭვივის, რომ არჩევნების მომხრეები შინაგანად მისი მოწინააღმდეგენი არიან. სწორედ ამის და, კიდევ, ჩემი ღრმა პატივისცემის აღსანიშნავად ბატონი ზურაბისადმი (მისი ადრინდელი წერილების გამო), წერა დავიწყე ციტატით მისი წერილიდან, რომელსაც გულწრფელად ვეთანხმები.

წინასწარ უნდა აღვნიშნო, რომ განსახილველი წერილი სრულიად საპირისპიროა მისი იმავე გაზეთში (№4) გამოქვეყნებული წერილისა "გვიწერია თუ არა ხსნა" და, სამწუხაროდ, ძალიან ჰგავს იმ ნიჰილისტების ბრძოლის მეთოდს, ასეთი დამაჯერებლობით რომ ამხელს ავტორი: ერთ საკითხში სიმართლის თქმა, სხვა, უფრო მთავარ საკითხში სიცრუის დასაფარად რომ სჭირდებათ.

და კიდევ ერთი: ეროვნულ მოძრაობაში არჩევნების გამო დაწყებული კამათი უკვე თავად არის ძალიან ცუდი, ამიტომ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ შევეხები არა ბოიკოტს, არამედ წერილში ზნეობრიობის შესახებ გამოთქმულ არასწორ შეხედულებას.

ახლა გადავხედოთ ზოგიერთ მოსაზრებას და მათი დასაბუთების მართებულობას:

1."განდგომით შეიძლება დიდი ზნეობა განხორციელდეს, მაგრამ განდგომით ვერფერ პოლიტიკას ვერ განახორციელებ."

2."ჩვენ უნდა მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა და უნდა გვახსოვდეს, რომ თავისთავად ეს არც უზნეობაა, როგორც ბოიკოტისტებს ჰგონიათ, და არც ზნეობა, როგორც არჩევნების ზოგიერთ მომხრეს მიაჩნია. ზნეობრივი ან უზნეო შეიძლება იყოს არა არჩევნებში მონაწილეობა, არამედ ამ მონაწილეობის მიზანი.

3."არჩევნების მომხრეები მოწინააღმდეგეთა პოზიციის ზნეობრივ მხარეს აღიარებენ და პატივს სცემენ, ოღონდ ეს საკმარისად არ მიაჩნიათ."

განა პოზიციისა თუ ქმედების ზნეობრიობა საკმარისი არ არის მის გასამართლებლად? ეროვნული მოძრაობა ყოველთვის იყო და უნდა დარჩეს ზნეობრივ მოძრაობად და ამიტომ ნებისმიერი პოზიციის ეროვნულობის საზომიც მხოლოდ ზნეობა უნდა იყოს. უზნეო პოზიცია მხოლოდ ეროვნული ნიღბის მორგებას ცდილობს. თანაც, თუკი არჩევნებში "მონაწილეობა ამ ეტაპზე ბევრს ვერაფერს უშველის საქართველოს", მაშინ როგორღაა, რომ "ის, უბრალოდ, ბოიკოტის გამოცხადებას სჯობია?"

პოლიტიკა, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგი, ისევე ზნეობრივი უნდა იყოს, როგორც ადამიანთა მოქმედების ნებისმიერი სხვა სფერო, ამიტომ, თუკი "განდგომა" ზნეობრივია, მაშინ ის პოლიტიკურადაც სწორია. განდგომა კი სწორედ არჩევნებში მონაწილეობა იქნება, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. არჩევნებში მონაწილეობა რომ უზნეობაა, ეს ზემოთ მოხმობილი მესამე ციტატიდანაც ჩანს, ხოლო მისი წინა ციტატი კერძო შემთხვევაა უზნეო გამონათქვამისა "მიზანი ამართლებს საშუალებას".

ზვიადის ბოიკოტისა და დღევანდელი ბოიკოტის მიზეზთა თითქოსდა სხვადასხვაობას გვიმტკიცებს შემდეგი ციტატი: "მისი ბოიკოტის მიზეზი სხვა იყო - არჩევნების კომუნისტური ერთპარტიულობა, ამ მიზეზით გადაწყვიტა ზვიადმა ბოიკოტის გამოცხადება. დღევანდელი ბოიკოტისტები კი ბოიკოტს აცხადებენ არა იმ მიზეზით, რომ არჩევნები ერთპარტიულია; არჩევნები, პირიქით, მრავალპარტიულია: - არამედ იმ მიზეზით, რომ ის უკანონო ხელისუფლებამ დანიშნა. ეს ზვიადის საარჩევნო პოლიტიკას კი არ გვაგონებს, არამედ კონგრესისას, კონგრესელები ამ ნიადაგზე დაუპირისპირდნენ ზვიადს - უკანონო ხელისუფლების დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა ეროვნული მოძრაობის ღალატიაო".

ზვიადის ბოიკოტისა და დღევანდელი ბოიკოტის მიზეზი არის პარლამენტში ეროვნული ძალების მოხვედრის გარანტიების არარსებობა, რასაც 1990 წლის კომუნისტური ერთპარტიულობა განაპირობებდა, დღეს კი - "დემოკრატიული" დიქტატურა. ხოლო რაც შეეხება კონგრესის პოზიციას, იგი ასეთი იყო: ბოიკოტი ზვიადის არჩევნებს და დეპუტატის მანდატი შევარდნაძის პარლამენტში, რადგან ზვიადიც და შევარდნაძეც იდეას განასახიერებენ; "საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ძალა (იდეა - ბ.დ.), რომელთა ბრძოლამაც თავის მწვერვალს გადატრიალების დღეებში მიაღწია... საქართველოში ეროვნული ძალები და ნიჰილისტები ებრძოდნენ და ებრძვიან - ბ.დ.) ერთმანეთს... ... ერთმანეთს ებრძოდა არა ორი რწმენა, არამედ - რწმენა და ურწმუნოება; არა ორი ზნეობა, არამედ - ზნეობა და უზნეობა" (გაზეთი "მარჯვი" №4, ზურაბ ხასაია "გვიწერია თუ არა ხსნა"). ხოლო რასაც კონგრესელები გაიძახოდნენ, - არჩევნები უკანონო ხელისუფლების დანიშნულიაო, - იყო ნიღაბი, ისეთივე ნიღაბი, როგორც პრეზიდენტისადმი წაყენებული ნებისმიერი სხვა ბრალდება.

" მაგრამ თუ ზვიადისეული ბოიკოტის მიზანი იყო უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა, დღევანდელი "ბოიკოტისტები, პირიქით, იმას მოითხოვენ, ასეთ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღოთ."

კვლავ ვიმეორებ: მიზანი პარლამენტში ეროვნული ძალების მოხვედრის გარანტიის შექმნაა, რაც ზვიადმა მოახერხა არა იმით, რომ "ზვიადმა ორჯერ გამოუცხადა ბოიკოტი არჩევნებს", არამედ იმით, რომ ზვიადი მუდმივად უცხადებდა ბოიკოტს კომუნისტურ არჩევნებს, ე.ი. ზნეობრივად მისი პოზიცია ყოველთვის მართალი იყო. როგორ ფიქრობთ, მაშინ ზვიადთან ერთად თუნდაც საქართველოს ნაწილს რომ მუდმივად გამოეცხადებინა ბოიკოტი კომუნისტური არჩევნებისთვის, 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალება მოხდებოდა? - არა, რადგან ამ დროისთვის ჩვენ უკვე იმ დონეზე ვიქნებოდით ზნეობრივად, რომ ეროვნულ თვითმკვლელობას არ ჩავიდენდით: ზოგი იარაღით, ზოგი ცრუმეტყველებით, ზოგი უსუსურობით. თანაც, ხომ არ დაგვავიწყდა, რომ გუმბარიძის პარლამენტმა აღიარა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია? ამით კომუნისტებმა თავიანთი უკანონობა დაადასტურეს. მხოლოდ ამან და არჩევნებში ეროვნული ძალების მოხვედრის გარანტიებმა შექმნეს ზნეობრივი საფუძველი ზვიადის არჩევნებში მონაწილეობისთვის და არა არჩევნების მრავალპარტიულობამ.

"მეორედ ზვიადმა "იმედის" არჩევნებს გამოუცხადა ბოიკოტი. ბოიკოტის გამოცხადება გამართლებული იყო. საქმე ისაა, რომ დამხობილი უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი ფიზიკურად არსებობდნენ, მუშაობდნენ და სესიებსაც იწვევდნენ. არჩევნების ცნობა-აღიარების შემთხვევაში კი, ისინი იუქმებდნენ თავს და დაბრუნების შესაძლებლობასაც ისპობდნენ...

სადღეისოდ კი ბოიკოტის გამამართლებელი პირობები არაა. შევარდნაძის ხელისუფლებამ პრეზიდენტი ფიზიკურად გაანადგურა და არასრული უზენაესი საბჭოც თითქმის დაიშალა. კანონიერი პარლამენტის დაბრუნება თითქმის შეუძლებელი გახდა..."

" მთავარი კი სხვაა, არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობით არ წყდება საქართველოს ბედი..."

დავუბრუნდეთ 1990 წლის ბოიკოტს: იმ დროისთვის არც 1921 წელს განდევნილი მთავრობა არსებობდა და არც მისი განმდევნელები იყვნენ ცოცხლები, ამიტომ, კანონიერების აღდგენის მოთხოვნა პირდაპირი გაგებით აზრს კარგავდა. ამდენად, რჩებოდა ორი გზა: არასწორი - ომი რუსეთთან, და სწორი (რომელიც ზვიადმა გამონახა და განახორციელა კიდეც) - არჩევნები-რეფერენდუმი-დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება, რის კანონიერ საფუძველსაც სწორედ ამ განდევნილი ხელისუფლების კომუნისტების დანიშნულ არჩევნებში არმონაწილეობა წარმოადგენდა. ამ მხრივ 1992 წლის და დღევანდელი არჩევნების ბოიკოტი ზუსტი ალი-კვალია იმ 20-იანი წლების ბოიკოტებისა. უფრო მეტიც, საქართველოს არავითარი მორალური უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობისა მანამ, სანამ უმაღლესი საბჭო არსებობს და ასევე ცოხლები არიან, და თანაც (მოუნანიებლად) - დეპუტატობის კანდიდატები, ან, სანამ არ შეიქმნება არჩევნებში გამარჯვების გარანტიები. ამას კი ბოიკოტი სჭირდება, რადგან თუ ბოკოტში ათი კაცი დაგიჭერს მხარს, არჩევნებში ასი მოგემხრობა.

ამრიგად, ბოიკოტი რაც უფრო უახლოეს არჩევნებში გახდება მრავალრიცხოვანი და მოიცავს მთელ საქართველოს, მით მალე აღდგება კანონიერება, ხოლო (რაც შეეხება განდგომას) მოწოდება და შემდეგ საყოველთაო მონაწილეობა არჩევნებში თქვენი ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩემს მიერ ხაზგასმულ სიტყვა "თითქმის"-ს ამოაგდებს და სწორედ ეს იქნება განდგომა ეროვნული მოძრაობისგან.

საქართველომ, როგორც ქვეყანამ და როგორც ერმა, არჩევანი გააკეთა - მან ხმა მისცა თავისუფლებას. ეს ზვიადის და მერაბის დიდი ზნეობრივი გმირობის - თავგანწირვის შედეგია. ამჯერად საქმე პიროვნულ არჩევანზეა მიმდგარი და ვინც ამ არჩევანს მართლად გააკეთებს, ის გადარჩება საქართველოსთან ერთად. საქართველოს გადარჩენა კი დიდი ხნით ადრე და არაერთ წმიდა მამასა აქვს ნაწინასწარმეტყველები.

*ბადრი დანელია*

---

**TAVISUPALI SAKARTVELO**
**(FREE GEORGIA)**
**N25 (1995)**
**in brief**
**2-9 November**

## Dispersal on the Background of Tbilisoba

On October 28, at 1 p.m. in Kolkhuri Koshki house was appointed a rally of "Round Table" political organization dedicated to the anniversary of the first multiparty democratic elections of October 28, 1990.

The action was not even started when the police began to disperse the people who were gathering in the yard of the Kolkhuri Koshki house, The punitive detachment did not allow the citizens to move in the direction of the rally place, chasing after them with their usual rudeness, threats and swaying of truncheons. With the appearance of the organizers of the rally the detachment of special destination immediately circled them and with rough violence actually dragged them into the cars and a bus. Other peaceful citizens and even passers-by were detained also. The majority of the detained, about 40 persons, were taken to the Mtatsminda District Police Department.

In the sub-department of the same region (headed by Devnozashvili) another 14 citizens have been detained.

By 2 p.m. the Mtatsminda District Police Department was visited by the members of International Society for Human Rights (ISHR) of Georgian Helsinki Union who demanded the audience with the Chief of the Department E. Jamburia who refused to satisfy their demand under the pretense of being busy. With the similar refusal he had dismissed the correspondents of information agency BS PRESS and "Rossiiskajia Gazeta". When the police department was visited by the Head of Elections Co-ordination Department of International Institutions and Human rights Bureau Mr. Ernes De Lamine and the representative of OBSE Mission Mrs. Daria Fane who demanded the audience with the Chief of Police. E. Jamburia again pretended to be very busy after which he stole away from the building actually running away from the representatives of the International representatives who had managed to overtake him only when he was sitting himself into the car. E. Jamburia explained to them that he was hurrying to the meeting. The great majority of people detained during that day were released, though seven others - Tengiz Kikacheishvili, Jemal Gamakharia, Zaza Davitaia, Shota Malashkhia, Ramin Rogava, Valeri Dolidze, Zura Tskhadadze were trailed on October 29 in the Mtatsminda District Court and sentenced to 10 day imprisonment.

The detained in the token of protest declared hunger-strike from November 30.

Human Rights Commission of Georgian Helsinki Union stresses that on October 28, when the central streets of the capital were used to celebrate most expensive Communist farce "Tbilisoba", the fact of dispersing the action dedicated to the fifth anniversary of the first multyparty election in Georgia once more testified to the anti-democratic nature of the existing regime and elections appointed by it. At the same time, detention of the representatives of "Round Table" right before the elections and sentencing them to 10 day imprisonment, once more confirms that under the existing regime conduction of free, democratic elections is impossible.

Georgian Helsinki Union's
Human Rights Commission

## DECLARATION

**On Elections in Georgia to be Held on November 5, 1995**
**ade by Opposition Organizations and Political Parties of Georgia**

Parliamentary and presidential elections are announced to be held in Georgia on November 5, 1995. We, the representative of opposition political parties and organizations consider it impossible to us to participate in these elections and boycott it for the following reasons:

Present day illegitimate authorities of Georgia has come to power as a result of coup when the democratically elected parliament and president were exiled from the country in January, 1992. The coup was committed by the former Communist Party elite and local Mafia with direct military and political support of Russia.

The unlawful dictatorial regime to legitimate itself held the non-democratic parliamentary elections in October 1992 having falsified their results. Those elections were neither free nor fair which fact was confirmed by independent international observers as well. The election were held basing on the non-democratic Election Law, under the conditions of political terror and state of emergency. This regime qualified nearly all opposition parties as criminals. The mass arrests and torturing of the opponents of the factual regime took place within the pre-elections period. The opponents were subjected to execution without even trailing them. All opposition newspapers, the right for public meetings and expression of different thinking were banned. The elections were not held on the about one third of the whole territory of the country.

The recent four years clearly demonstrated that the authorities are ruling the country using dictatorial methods. Tens of thousands of people perished and missed as a result of policy directed against the sovereignty of the Republic of Georgia and interests of its population. Of about five million population of Georgia nearly one million citizens have emigrated from the country. The economic and social spheres are completely collapsed. 80% of population found themselves beyond the poverty level. State structures and industrial-and-agricultural branches are governed by the Mafiosi Clans which have turned international financial and humanitarian aid into the source of their personal income.

The policy of the ruling regime led to the disintegration of the territorial integrity of the Republic of Georgia. The authorities became actively involved into the ethnic conflict provoked by Russia in Abkhazia and South Ossetia Region which resulted in loss of one fourth of the territory of the country and appearing of 300 000 internally displaced people.

The population of Georgia opposed the unlawful authorities and situation created by them with the universal civil insubordination, and in 1993 attempted to restore the Constitutional Order. However, to preserve the puppet regime in Georgia this attempt was drown in blood by direct military intervention of Russia.

The priority of the presnet day authorities of Georgia is Russian rather than Georgian state interests. The process of creating Russian strategic bridge-head in Caucasus personified by Georgia is on. To this testifies a new Agreeement on locating Russian military bases in Georgia for 25 year term.

In present day georgia nearly all major human rights are again ignored. In pre-election period the jails are full of hundreds of political prisoners. Free mind and word are chased. Becuase of non-democratic nature of teh auhorities the population is deprived of the right to elect the desirable authorities and have any effect on rulling of the country.

We are facing mutual opposition between the rulling elite and population which provide the basis for destabilization in the country.

It is evident, that for fear of losing the power, the authorities will nevel allow free and just elections and will inveitbly falsify their results. Political opposition is deprived of any possibility to provide real control over the procedure of holding the elections to avoid the falsification of tehir results. Under the existing circumstances we afil to see any way of conduction democratic elections and consequently refuse to participate in them especially as everyone in Georgia is well aware of the fact that thier results will be falsified.

Participation in the Elections of November 5, 1995, will contribute to legitimation of puppet and corrupted regime thus creating the dangerous illusion of democracy in Georgia. This will even more complicate the process of leading the couintry out of the crisis and will delude the international society.

The future elections will not be held on the whole territory of the country since georgian quthorities fail to extend thier jurisdiction on Abkhazia and former South Osetia Region. The elections conducted under such circumstances provide the sound basis for factual losing of the above territories and contribute to the disintegration of territorial integrity of Georgia.

To resist the anti-democratic and criminal policy of the authorities, we are left with no other peaceful way but the way of active boycotting the elections appointed by the factual regime in Georgia.

We believe, that the only guarantee for achieving stabilization in the country and ensuring its development are lawful, democratic elections. We hope that International Society will adequately estimate the situation created in Georgia and the way out of the severest crisis Georgia is facing now, will be found out as a result of joint efforts.

October 27, 1995

**Round Table - Free Georgia, Georgia Helsinki Union, St. Ilia Righteous Society, National-Liberal Union, Movement "Chkondideli", Georgia Royal league, Christian-Social Union, Intelligentsia Council, University Society, Technical University Society, Student-Youth Movement "For the Motherland", Independent League of the Physicians, Independent league of the Journalists, Free Trade Unions of the Workers, Human Rights Association, Anti-Election Block "Agsdek Sakartvelo" ("Rise, Georgia"), Society "Gorgasliani", Free Georgia - Future generation, Alexandre Batonishvili Society, Niko Burr Society, Unity of Georgian - Cross of Bolnisi, Christian-Monarchist Union, Nobility Assembly, Society "Eris Dzakhili" ("Call of Nation")**

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia